საქართველოს ერთიანობას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№84 (6310) შაბათი 14 ივლისი 1990 წელი ფასი 8 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 10 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ს. ი. გურენკო—უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პარტიის XXVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის განხილვის შედეგების თაობაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ.

შესვენების შემდეგ ყრილობა შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატურების დასახელებას და განხილვას.

დასახელებულ კანდიდატურათა განხილვის შედეგად ფარული კენჭისყრისათვის სიაში შეიტანეს თ. გ. ავალიანი და მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობამ შექმნა ხმის დამთვლელი კომისია არჩევნების მოწყობისათვის.

* * *

10 ივლისს საღამოს სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ვ. ა. მედვედევის,—სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების—„ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ"—პროექტის მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელის ინფორმაცია.

შემდეგ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევნები.

ამის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა განაგრძეს სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების პროექტის განხილვა.

საღამოს სხდომის დასასრულს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი**. დელეგატებმა დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა.

* * *

1990 წლის 11 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომა მიმდინარეობდა ა. ნ. მუთალიბოვის—აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ყრილობაზე გრძელდებოდა რეზოლუციათა პროექტების განხილვა.

შევსენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა მ. ს. გორბაჩოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

დელეგატებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატურები. ფარული კენჭისყრის სიაში შეტანილი იყვნენ ა. ს. დუდირევი, ვ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი.

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატურები და კენჭისყრის სიაში დატოვეს ვ. ა. პროხოროვი და ბ. კ. პუგო.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოიწონა საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ". შემდეგ მიიღეს დადგენილება, რომელიც ყველა კომუნისტს ავალებს იხელმძღვანელონ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მიღებამდე.

ბოლო სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი უძღვებოდა, გაიმართა კენჭისყრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო.

მის ანგარიშზეა 180 კილოგრამი

რამდენიმე ათეული წელია მეაბრეშუმეობის განვითარების, ძისი დოვლათის გამრავლებისათვის ერთგულებით ცხოვრობს ორბელის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ვერა გვიშიანი.

ძაშინვე, როგორც კი საინკუბაციო კამერაში მური გაცოცხლდება, ვერა პირველი გაიყვანს. გამოცდილმა მეაბრეშუმემ იცის, რომ თითოეულ დღეს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებისათვის. ერთი თვის მანძილზე მოუღლელი მარჯვენით თავს დასტრიალებს ლასტებზე მოშრიალე ჭიებს, მერედა რამდენს, ისიც ყოველწლიურად.

სათქმელად ადვილია 35 გრამი აბრეშუმის მურის მოვლა. თეთრად ნათევი ღამეები და თუთის ფოთლის ხვავები, უთვალავი საცახე გვიმრისა და გვირილას კონები. ქალბატონი ვერას ნაჯაფი ხელების წყალობაა რომ 66 წლის ქალმა საზოგადოებრივ დოვლათს უკვე 180 კილოგრამი აბრეშუმის პარკი შემატა.

ბ. ბაქრაძე.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში. 13 წლიდან პერიოდულად მუშაობდა კოლმეურნეობაში, 15 წლიდან—მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერის თანაშემწედ, დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1955 წელი) და დაუსწრებლად — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1967 წელი).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამშობლოში, სტავროპოლის მხარეში — ჯერ იურიდიული სპეციალობით, მაგრამ მალე დააწინაურეს კომკავშირულ სამუშაოზე.

1962 წლის მარტში აირჩიეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, იმავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ. 1966 წლის სექტემბერში აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მუშაობდა სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, 1980 წლის ოქტომბერში გადაიყვანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1985 წლის მარტში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

1988 წლის ოქტომბრიდან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა, 1989 წლის მაისიდან—სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, 1990 წლის მარტში ირჩევენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტად.

1990 წლის 10 ივლისს სკკპ XXVIII ყრილობაზე კვლავ აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

მინიჭებული აქვს მთელი რიგი სახელმწიფო ჯილდოები.

მიტინგი ცაგერში

12 ივლისს ქალაქ ცაგერში ლეჩხუმის სახალხო ფრონტმა ჩაატარა მიტინგი, რომელზეც გამოტანილი იყო რამდენიმე საკითხი. მიტინგის ორგანიზატორებმა ისაუბრეს საქართველოში არსებულ ვითარებაზე, გამოხატეს თავიანთი პოზიცია რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების ამჟამინდელი პოლიტიკის მიმართ, კიდევ ერთხელ დაისვა ლეჩხუმში კოლმეურნეობების გაუქმებისა და რაიკომის შენობის საავადმყოფო-პოლიკლინიკისათვის გადაცემის საკითხი.

გამომსვლელებმა კოლმეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებაში ბრალი დასდეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და რაიონის სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელებს, აღნიშნეს, რომ თუ 1 აგვისტომდე დადებითად არ გადაწყდება ეს პრობლემები, ლეჩხუმის სახალხო ფრონტი ადგილობრივ ხელისუფლებას პიკეტირებით აიძულებს მიიღოს ხალხისათვის სასურველი გადაწყვეტილებანი.

მიტინგის ორგანიზატორებმა გამოხატეს აგრეთვე თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ახლახანს ჩატარებული რაიონული საბჭოს სესიისა და მისი გადაწყვეტილებების მიმართ.

დასმულმა საკითხებმა საკმაოდ ცხარე კამათი გამოიწვია. თავიანთი აზრი გამოთქვეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **გ. კვირკაშვილმა**, საკოლმეურნეობათაშორისო საკვებმოპოვების გაერთიანების უფროსმა **შ. კვირკაშვილმა**, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა, რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **ე. გუგავამ**.

აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის ერთი წლისთავის გამო, 15 ივლისი საქართველოში გამოცხადებულია საყოველთაო გლოვის დღედ.

ამ დღეს ძირს დაიხრება ეროვნული დროშები, შეიცვლება რადიოსა და ტელევიზიის პროგრამა.

ქართველი ხალხი პატივს მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას.

ISEV GLEXURI MEURNEOBIS SEXEB

პოზიცია

საკუთრების კოლექტიურმა ფორმამ როგორც საერთოდ, არც ჩვენს რაიონში გაამართლა, რის გამოც ყოველწლიურად კლებულობს საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოცულობა, მისი დღევანდელი დონე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნებს. ამიტომაც სოფელში მცხოვრები ყველა ადამიანის წინაშე დგას არჩევანი— კოლმეურნეობა თუ გლეხური მეურნეობა. სავსებით სწორია იმათი გადაწყვეტილება, ვინც აშკარად უპირატესობას აძლევს საკუთრების ინდივიდუალურ ფორმას, რომლის სიკეთე პრაქტიკამ უკვე დაადასტურა. გლეხი გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარი საკარმიდამო მიწის მოვლა-პატრონობას, ვიდრე იგი ამას აკეთებს გაპიროვნებულ საკოლმეურნეო ნაკვეთზე.

რაიონში ოჯახური იჯარა გახდა წინაპირობა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობის გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისა, იგი შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ეტაპად. მიუხედავად ამისა გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი ჭიანურდება, დღეს-დღეობით არც ერთი გლეხური მეურნეობა არ არის შექმნილი. ამის შესახებ კი თითქმის ერთი წელია მიმდინარეობს სჯა-ბაასი, მიღებულ იქნა გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის დადგენილება, რაიონული საბჭოს სესიის გადაწყვეტილება. ერთი სიტყვით, ყველა წინასწარი სამუშაო შესრულებულია, მიღებულია საქმთავრობის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაც „საქართველოს სსრ-ში გლეხური მეურნეობების განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ". არის აგრეთვე საკავშირო მთავრობის მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობას ჩამოეწეროს ვალები. მაშინ სხვა რაღა უშლის ხელს კოლმეურნეობების ლიკვიდაციას და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების შექმნას?

ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია, მიზეზი რამდენიმეა. რომელთაგან მთავარია ადგილობრივ სამეურნეო ხელმძღვანელთა უარყოფითი, ბიუროკრატიული მიდგომა მეურნეობრიობის ახალი ფორმის შემოღებისადმი, რაც ადვილი ასახსნელია, რადგან მათ აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარი უნდა თქვას იმ სამსახურზე, რომლისადმი კონსერვატიული დამოკიდებულება წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა. აღნიშნული კატეგორიის მუშაკები, რომლებიც ყველაზე წამყვანი აგიტატორები უნდა იყვნენ გლეხური მეურნეობის პროპაგანდის საქმეში, პირიქით, ეწევიან ანტიპროპაგანდას, პესიმისტური კომენტარებით, არაკომპეტენტური დასკვნებით აფრთხობენ გლეხობას, ამას ემატება აგრეთვე, რომ რესპუბლიკის მთავრობისაგან მიღებულ იქნა არა მუდმივი, არამედ დროებითი დებულება და გლეხობის უმრავლესობას ჩამოუყალიბდა ახლისადმი სიფრთხილის გრძნობა. ყოველივე ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, გლეხობას არა აქვს სწორი და სრული წარმოდგენა გლეხური მეურნეობოლეა მოსახლეობამ დაიწყო საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთების თვითნებური მიტაცება, მთელ რიგ სოფლებში არის იმ ის ექსცესები, რომ გლეხები ცდილობენ დაეპატრონონ მამაპაპისეულ მიწებს, რასაც ქაოსი და უწესრიგობა შეაქვს საზოგადოებრივი წესრიგის საქმეში. მოსახლეობა ერთმანეთს ედავება არა მარტო სავარგულებისათვის, არამედ საძოვრებისა და ტყეებისთვისაც. არის შემთხვევები, როცა ერთი სოფელი თვითნებურად საზაფხულო და საიალაღო საძოვარზე არ უშვებს მეორეს იმ მოტივით, რომ ტერიტორია კოლექტივიზაციამდე მას ეკუთვნოდა (?!) ეს პროცესიც მოსახლეობის დაბნეულობით

ISEV GLEXURI MEURNEOBIS SEXEB

ის ავ-კარგზე, ამ პირობებში მთელი შესაძლებლობით უნდა ამოქმედდნენ ადგილობრივი საბჭოები. მათ თავიანთი აქტივისტების გამოყენებით უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხალხის მასებში.

მიმდინარე წლის ივნისში რაიონული საბჭოს სესიამ დაამტკიცა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, სადაც ერთ-ერთ საკითხად გათვალისწინებულია, რომ გატარდეს საჭირო მუშაობა, რათა ლიკვიდირებული კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობის, სამეურნეობათშორისო გაერთიანების ბაზაზე გლეხური მეურნეობის პარალელურად შეიქმნას კოოპერატივები და საარენდო ფერმერული მეურნეობები, რაც აუცილებელ ღონისძიებად მიმაჩნია. იმდენად რამდენადაც მათ უნდა შეძლონ ამჟამად საზოგადოებრივი მეურნეობების ბალანსზე არსებული წარმოების ძირითადი საშუალებების შესყიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამჟამად მეურნეობებში არსებული 13070 ათასი მანეთის შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები განადგურდება.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ერიცხებოდათ 7325 ათასი მანეთის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო სესხები, რომელთაგან 4 მილიონზე მეტი ჩამოიწერა.

მაგრამ იმან, რომ სიახლის გვეშინია, თუ ყველას სხვადასხვა მოსაზრება გვაქვს სოფელი უმრავლესობა დარჩა, იგრძნეს რა კოლმეურნეობების გაუქმების მოახლეს უნდა აიხსნას, კვლავ წინა პლანზე იწევს ახალი სამეურნეო მექანიზმის დამკვიდრებისათვის, მისი სამართლებრივი პროპაგანდის აუცილებლობა, რაშიდაც თავისი სიტყვა უნდა თქვან, აგრეთვე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებიც ჯერ-ჯერობით ამ საქმეში ჩარევის აუცილებლობას ვერ უყურებენ. ქაოსის დამკვიდრებაში გარკვეული ბრალი მიუძღვით იმათაც, ვინც ამტკიცებენ, რომ ჯერ უნდა მოხდეს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სრული ლიკვიდაცია და ამის შემდეგ მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს გლეხური მეურნეობები. ჩემი აზრით, ისინი ცდებიან, რადგან არ ითვალისწინებენ ამ ორი ფორმის, ძველისა და ახლის თანაარსებობის შესაძლებლობას. დღევანდელ პირობებში გლეხური მეურნეობის დაპირისპირება კი არ უნდა მოხდეს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, არამედ საწყის ეტაპზე უნდა შევძლოთ მათი თანაბარი უფლებებით არსებობა.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მიწის რენტა, რომლითაც გლეხური მეურნეობა კანონის დონეზე იქნება დაკავშირებული სახელმწიფოსთან. როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 6 აპრილის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაშია, „მიწის ქირა გლეხურ მეურნეობას გადახდება ნატურით ან საჯარო ქირის ფორმით, რომლებიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით", მიმაჩნია დებულებაში გასათვალისწინებელია, რომ გლეხური მეურნეობები ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში იქმნება, სადაც ძალზე მცირე შესაძლებლობა არსებობს მექანიზაციის გამოყენებისა, ყველა სახის აგროტექნიკური ღონისძიებები ხელით სრულდება, ბარის რაიონებთან შედარებით დაბალია მოსავლიანობა, გამომდინარე აქედან ამონაგები ერთეულ ფართობზე ძალიან მცირეა. ამიტომ მიწის ქირისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც უნდა განთავისუფლდეს გლეხი, ხოლო აქედან ადგილობრივ ბიუჯეტებში გამოწვეული დეფიციტი შეივსოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ასეთი ღონისძიება აუცილებელია, რაც შექმნის მთაში გლეხის დამაგრების პირობებს.

გლეხურ მეურნეობაზე სრულად გადასვლის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის და სამეურნეობათშორისო გაერთიანებების გაუქმებასთან ერთად რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების და მის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების რეორგანიზაციის საკითხი. დღეს, როცა ცხარე კამათია გლეხის სრული თავისუფლების შესახებ, რომ ის უნდა იყოს მიწის რეალური მესაკუთრე და წარმოებული ჭირნახულის ბედის განმგებელი, ასეთ შემთხვევაში არა სწორად მიმაჩნია იმათი პოზიცია, რომლებიც აყენებენ საკითხს გაუქმებული კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნას გლეხური მეურნეობის მომსახურების საწარმო ხოლო რაიონში საწარმო-ტექნიკური მომსახურების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის რაიონული გაერთიანება. რადგან გლეხი თავის საგადასახადო სისტემით და სხვა სოციალური პირობებით დაკავშირებულია სასოფლო საბჭოსთან, მისთვის აღნიშნული საწარმო თუ გაერთიანება იქნება კიდევ ერთი რგოლი, რომელთანაც სამეურნეო საქმიანობა დააკავშირებს. ე. ი. მაინც ვერ ავცდებით ორმაგ დაქვემდებარებას, ორხელისუფლებიანობას. მიზანშეწონილი იქნება გაუქმებული კოლმეურნეობის ბალანსიდან სასოფლო საბჭოებს გადაეცეს ის აუცილებელი მანქანა-მექანიზმები, რაც საჭირო იქნება გლეხური, კოოპერაციული და ფერმერული მეურნეობების სახელშეკრულებო სახით მომსახურებისათვის. აღნიშნული ტექნიკის და ამავე დროს სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის დამზადება—რეალიზაციის ხელმძღვანელობისათვის სასოფლო საბჭოებთან შეიქმნას სამეურნეო ანგარიშიანი რგოლი, ხოლო აღნიშნული რგოლების საერთო ხელმძღვანელობის და მეთოდური დახმარების მიზნით რაიონული საბჭოს აღმასკომთან შეიქმნას სოფლის მეურნეობის განყოფილება. გამომდინარე აქედან მე ზედმეტად მიმაჩნია გლეხთა ასოციაციების და კავშირების ჩამოყალიბებაც, მით უმეტეს თუ ისინი თავის პროგრამაში ჩადებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გლეხობაზე, როგორიცაა: გლეხებისათვის შვებულების მიცემის უფლება, პროდუქციის რეალიზაციისათვის ტრანსპორტის გამოყოფა, მეზობლური დავების მოწესრიგება და სხვა.

მე ვიზიარებ იმ მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებებს, რომლებიც არ ეთანხმებიან პოზიციას, რომ გლეხურ მეურნეობებს შეუზღუდავი უფლებები მიეცეს იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოსაგან რაც უნდათ იყიდონ, მაგრამ წარმოებული პროდუქციისაგან სახელმწიფოს რაღაც მინიმუმი მისცენ სურვილისამებრ, მხოლოდ ის, რისი რეალიზაციაც უჭირთ. კარგია ასეთი ფუფუნება, მაგრამ ამ ეტაპზე ამის საშუალება არ არსებობს. გლეხურ მეურნეობას ხელის შეწყობა სჭირდება, მაგრამ საზოგადოებაც ხომ მოითხოვს თავის გარანტიებს, განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ამიტომ ხელის შეწყობას გლეხურმა მეურნეობამ უკუგებით უნდა უპასუხოს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად გარკვეული ეტაპის გავლა დაგვჭირდება, მაგრამ ერთის მხრივ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი გლეხურ მეურნეობას, მეორე მხრივ თვით გლეხურმა მეურნეობამაც გარანტია უნდა იაროს, რომ დააკმაყოფილოს საზოგადოების მიერ წამოყენებული მოთხოვნები. სწორედ ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა მოაწესრიგონ გლეხობასთან ასეთი ურთიერთობა, რათა შეძლონ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სურსათით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება.

კ. ხეცურიანი.

სახალხო დეპუტატთა რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

„და შვილებს ლოცავს მგლოვიარე ქართველის დედა

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, ისედაც მგლოვიარე საქართველოს ზურგში რომ ჩასცეს მახვილი გათავხედებულმა აფხაზმა ექსტრემისტებმა. შარშანდელი 15-16 ივლისი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც იუდას შავი საქმეების ზეობის დღეები. „გვირჩევნია ზღვამ დაგვახრჩოს, ვიდრე მდინარემ". განაცხადეს გაურკვეველი ბოღმით აღვსილმა სეპარატისტებმა და გაუგონარი ბეხღობა-ცილისწამება სისხლისღვრით დაადგერგვინეს. ყველაფერი მალევე გაირკვა. ჩვენთვის ცხადი გახდა, თუ ვინ, რატომ, ვის წისქვილზე ასხამდა წყალს. აშკარად გამოიკვეთა ის მესამე ძალა, ის უჩინარი ხელი, რომელიც საშუალებას აძლევდა აფხაზ ექსტრემისტებს შეიარაღებულიყვნენ სრულიად სერიოზულად, შემოეტანათ იარაღი რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, ვინც მოამზადა სისხლიანი ტრაგედია, 20 ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა მსხვერპლად, ამათგან 13 ქართველისა. დამნაშავენი კი ჯერაც არ დასჯილან.

ეს ის ძალაა, რომელიც აგერ უკვე საუკუნე ნახევარია ცდილობს შუღლი ჩამოაგდოს ქართველებსა და აფხაზებს შორის, განხეთქილების თესლი ჩაგდოს აფხაზეთის ოღითგანვე ქართულ მიწაში, ეს სამოთხისდარი მხარე კი თავად დაისაკუთროს. ეს ის ძალაა, რომელსაც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა აფხაზთა და ქართველთა შორის აფეთქებასაშიში სიტუაციების შექმნის გამო, დიახ, მას და არავის სხვას. გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ დამნაშავენი აფხაზები არიან, არ შეიძლება მთელ ხალხს დავდოთ ბრალი, რადგან წარმოუდგენელია ქართველებს სწამებდე აფხაზთა გაქართველების ცდას და შველას თხოვდე, რუსეთს, მაშინ, როცა აფხაზური უნივერსიტეტი სინამდვილეში რუსული უნივერსიტეტია, სწავლება რუსულად მიმდინარეობს ისევე, როგორც საქმის წარმოება რესპუბლიკაში. არსებობს მითი ქართველების მიერ აფხაზთა დისკრიმინაციის შესახებ მაშინ, როცა ე. წ. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა—ქართველობა თავადაა დისკრიმინებული. ეს უპრეცედენტო ფაქტია მსოფლიოს ისტორიაში.

ცხოვრება კარგი მასწავლებელია. მართალია, ეჭვისა და შხამის თესლი კარგად ხარობს, მაგრამ მისი ამოძირკვაც შეიძლება. აფხაზთა და ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდების გარედან ინსპირირებულ ცდებს ჩვენ გონიერება და წინდახედულება უნდა დავუპირისპიროთ. ამას საქართველოს მომავალი მოითხოვს. ჩვენ არა გვაქვს უფლება სასწორზე შევხგდოთ მამულის ბედი. ხომ უნდა მოიშოროს ძაძა ქართველის დედამ, თავის ბედუკუღმართ შვილებზე დღენიადაგ მლოცველმა. შარშან დაღვრილი სისხლი ჯერ ისევ ცხელია და ცას შესჩუხჩუხებს, ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნა წმინდა სანთლებად ანთია და მომავლის გზას გვინათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურების სფერო

კავშირგაბმულობა და... ჩვენ

კავშირგაბმულობის საშუალებების: ტელეფონის, რადიოს, ტელეგრაფის, ტელევიზიის გამართულ მუშაობაზე, საფოსტო გზავნილებათა დროულ დატარებაზე დიდად არის დამოკიდებული მშრომელთა გუნება-განწყობილება. ეს კარგად ესმით კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშაკებს და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გააუმჯობესონ სოფლად და ქალაქად კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურება.

მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ 1987 წლამდე რაიონში ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის, კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელი იყო. 1987 წლის სტიქიურმა მოვლენებმა დაანგრია და მწყრობრიდან გამოიყვანა რაიონის კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის თითქმის მთელი სისტემა, მაგრამ კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ როგორც მატერიალური, ისე ფიზიკური დახმარებით, კავკავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შრომითი კოლექტივის ენერგიული მუშაობით, სოფლის მშრომელთა დახმარებით, აღდგენილი იქნა სატელეფონო კავშირი კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებასთან. ძირითადად აღდგენილი იქნა რადიოხაზებიც.

1987 წლის სტიქიით მიყენებული ზარალი არ იყო აღმოფხვრილი, რომ 1989 წლის ნოემბრის მეწყრიანობამ, დიდმა ზამთარმა და მიმდინარე წლის მაისის თვეში წყალდიდობამ დაანგრია შემაერთებელი ხაზები ცაგერი-ორბელი-ლაჯანისა და ორბელი-ლაშიკალის მონაკვეთებზე, მდინარე ცხენისწყალმა დააზიანა მიწისქვეშა კაბელი ცაგერის ჭალის ტერიტორიაზე და ლასურიაშის ხიდთან, რის გამოც კავშირს მოსწყდა ლასურიაშის, ალვის, ნაკურალეშის, ღვირიშისა და ტვიშის განყოფილებები. ეს სიძნელეები ძირითადად დაძლეულ იქნა და აღნიშნულ განყოფილებებთან აღდგენილი იქნა სატელეფონო კავშირი, რაც მასალების მკაცრი დეფიციტის პირობებში ძნელად შესასრულებელი იყო.

ქალაქის წარმოება-დაწესებულებები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამო და ეს სამართლიანიცაა, მართალია სტიქიურმა მოვლენებმა დიდი ზარალი მიაყენა ტელეფონებისა და რადიოს ქსელებს, ამასთან არ მარაგდებიან საჭირო მასალებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრი მუშაკი ამოეფარა მიზეზებს და რის გაკეთებაც შეიძლება იმასაც არ აკეთებენ.

ხშირია ტელეფონების დაზიანების შემთხვევები ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში, საცხოვრებელ ბინებში, სოფლებში: ქვედა ცაგერში, ჩხუტელში, ლასურიაშში და სხვა, უხეშად ირღვევა მათი აღდგენის ვადები. დაზიანებული ტელეფონის გასწორებას ხომ დეფიციტური მასალები არ ესაჭიროება, მაგრამ კვირაობით, ზოჯერ თვეობით ჭიანურდება დაზიანებული ხაზების აღდგენა. 3 თვეზე მეტია არ მუშაობს ვეტლაბორატორიის, ვეტსამკურნალოს, აგროსამრეწველო გაერთიანების და რიგი სხვა წარმოება-დაწესებულებების ზოგიერთი ტელეფონი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს და საშუალებებს. საჭირო კომპლექსური მასალების უქონლობის გამო აღარ ატარებენ ტელეფონისა და რადიოს ხაზების პროფილაქტიკურ სარემონტო სამუშაოებს, რის გამოც ხშირია მათი დაზიანების შემთხვევები.

1987 წლის სტიქიური მოვლენების შემდეგ სატელეფონო ხაზები არ აღდგენილა ჭალისთავში, ზარაგულაში, ზედა ლუხვანოში, ქორენიშში. შეფერხებებია ტვიშისა და ორხვის მოსახლეობის სატელეფონო მომსახურებაში.

1989 წლის დასაწყისიდან ლაჯანაში უნდა დადგმულიყო 53 ტელეფონი, დადგმულია 26, ლაილაშში ნაცვლად 46-ისა დადგმულია—15, ორბელში 58-დან დადგმულია 38 ტელეფონი, აბონენტებს ტელეფონის დადგმის საფასური გადახდილი აქვთ და სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ საქმის ასე გაჭიანურებისათვის.

ასევე სერიოზული ნაკლოვანებებია რადიომომსახურების საქმეში. რადიო არ მუშაობს: ტვიშში, წიფერჩში, ლუხვანოში, ჩქუმ-ქულბაქში, ოყურეშში, ლასხანაში. დაგვიანებით ღებულობენ ყურნალ-გაზეთებს ორხვის, საირმის, ზოგიშის, ნაკურალეშის, ნასპერის, ცხუკუშერის და ზოგიერთი სხვა სოფლების მშრომელები.

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის ავტომატური ტელეფონის სადგურის კაპიტალური რემონტი, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს სატელეფონო სადგურის მუშაობის ხარისხს, მაგრამ მასალების უქონლობის გამო ჯერჯერობით არ ტარდება სატელეფონო ქსელის რემონტი, რომლის გარეშე ტელეფონები კვლავ უხარისხოდ იმუშავებენ.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელებმა, მისმა უფროსმა ი. ჭაბუკიანმა უნდა გაზარდოს მომთხოვნელობა მუშაკებისადმი, აუმაღლოს მათ პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. აღკვეთონ დაზიანებული ტელეფონებისა და რადიოს აღდგენის ვადების გაჭიანურების შემთხვევები, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთონ კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ვლ. დავითულიანი.

ქართული გვარების ლექსიკონის შედგენისათვის

ზოგი მკვლევარი არა ქართული ძირისაგან მიღებულ გვარებს არა ქართულად თვლის. „სამეგრელოში, აფხაზეთსა და გურიაში დღეს ბევრი იტალიურ გვარს ატარებს. აქამდე ცხოვრობენ იქ იტალიელთა შთამომავალნი უორდანია, ჯაკობია, უღენტი, ბარკალაია და სხვა“ (მ. თამარიშვილი „ისტორია კათალიკობის“).

ასევე ჩერქეზებად მიიჩნევენ იმ გურულებს, რომელთა გვარი „ყვათ“ ბოლოვდება. მაგ. ინგოროყვა, ართალაყვა, ღელეყვა.

ადამიანის საქმიანობისაგან საქართველოში ალბათ 1000-ზე მეტი გვარია წარმოშობილი: ბაზიარი, ოქრომჭედელი, ხუროშვილი, მენაბდე, მენაბდიშვილი, მეღვინეთუხუცესი, ცხვარიაშვილი, კალატოზიშვილი, ვაჭარაძე, მხატვარი, მჭედელი, მჭედლიშვილი, მებუკე, ბუკია და სხვა.

რელიგიურ საქმიანობისაგან მომდინარეობს გვარები: უფლისშვილი, აღდგომელაშვილი ხუციშვილი, ხუციძე, კალანდაძე კადანდარიშვილი, მგალობლიშვილი, მახარობლიძე, მღვდელაძე, დეკანოზიშვილი, შეწირული და მრავალი სხვა.

არის გვარები, რომლებიც პიროვნების რაღაც ნიშან-თვისებაზე მიუთითებს: დიდიბერიძე, მაღალაძე, დიდებულიძე, ცალქალამანიძე, სიხარულიძე, შავიშვილი, წითლიძე, ხელაძე, ცარციძე და სხვა მრავალი.

სოციალურ მდგომარეობას ასახავს გვარები: ხიზანიშვილი, ხიზანი, ობოლაშვილი, ობოლაძე მონავარდიშვილი.

ეროვნული ნიშნით უნდა იყოს წარმოშობილი თათარაშვილი, ბერძენიშვილი, ლეკიშვილი, ოხიძე, სომხიშვილი, ჩერქეზიშვილი...

ქართული გვარების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოველების, მცენარეებისა და ფრინველების სახელებიდან მომდინირეობს: ნადირაშვილი, მგელაძე, ვეფხვაძე, კაკაჭაშვილი, ნადირაძე, შევარდნაძე, ქორიძე, ტურიაშვილი.

ასეთი გვარები ბევრი სხვაცაა საქართველოში, რომელთა სრულ სახეს მოგვცემს საქართველოს გვარების სრული ლექსიკონი, რომელზეც მუშაობა ძალზე ნელა მიმდინარეობს, ჭიანურდება. ამ ტემპით თუ გაგრძელდა ეს მუშაობა ალბათ ორ-სამ ათეულ წელსაც ვერ ვეღირსებით სრულყოფილ გამოცემას.

ჩვენს მიერ შეგროვილი იქნა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარები, საცხოვრებელი ადგილისა და სოფლებში ამ გვარის მცხოვრებთა რაოდენობის ჩვენებით: ცაგერის რაიონში 270, ამბრლოაურის—408, ონის—341, ლენტეხის—80 მესტიის—125, წყალტუბოს—757, ვანის—490, სამტრედიის—643, ხონის—578, ოზურგეთის—1115, ლანჩხუთის რაიონში 708 გვარი და სხვა.

ჯ. საღინაძე.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ლეჩხუმი“ №83.

მწვავე სიგნალი

ფრთხილად, საკარანტინო მავნებელია!

ვაშლის მენაღმე ჩრჩილი გავრცელებულია საბჭოთა კავშირში როგორც ევროპულ, ისე აზიურ ნაწილში და მათ შორის თითქმის მთლიანად ამიერკავკასიაში. საქართველოში კი, უმთავრესად, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და იმერეთშია გავრცელებული. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოშიც გვხვდება, მაგრამ მისი საზიანო მოქმედება ბევრად მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოში. ამ მავნებლის მასობრივი გამრავლების წლებში შეუწამლავი ბაღი ხანძრისაგან დამწვრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩრჩილის მკვებავი მცენარეებია: ვაშლი, კომში, მსხალი, ბალი, ზღმარტლი, ალუჩა, თხილი და სხვა ხეხილოვანი კულტურები, აგრეთვე ტყის ჯიშები—კუნელი, არყი, წიფელი და სხვა. ეს რაც შეეხებოდა ნაწილობრივ ვაშლის მენაღმე ჩრჩილს.

მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ამა წლის 6 ივლისს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული წერილის თაობაზე, სადაც რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლნაყოფიერება“ იტყობინება, რომ ქართლის რაიონების ზოგიერთი მეურნეობის ხეხილის ბაღებში გავრცელდა და სერიოზული ზიანი მოაქვს რგოლურ მენაღმე ჩრჩილს. დღეისათვის აღინიშნება მეორე თაობის პეპლების ფრენა და მასიური კვერცხდება.

იმის გამო, რომ ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური საშუალებები გამოცდილი არაა, ამ ეტაპზე ძლიერი გავრცელების კერებში უნდა გამოვიყენოთ ქიმიური საშუალებები, კერძოდ, ეკოლოგიურად ნაკლებად საშიში პრეპარატების დეცისი 0,08 პროცენტი ან სუმითიონი 0,2 პროცენტი, ფოზალონი 0,2 პროცენტი კონცენტრაციით.

ამავე დროს აკრ შეიძლება სარგავი მასალის შემოტანა კასპის, გორის და ქარელის რაიონებიდან, რათა არ მოხდეს ამ მავნებლის ჩვენთან გავრცელება.

აღნიშნული მავნებლის მატლების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარიმართოს შეუფერხებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ხეხილის ბაღების დაზიანება

პრეპარატების გამოყენებისას მკაცრად უნდა დავიცვათ რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხო მოთხოვნები.

ა. სიგაშვილი.

ცაგერის ზონის სიგნალიზაციისა და პროგნოზის დამკვირვებელი პუნქტის გამგე.

საკურორტო სეზონია

თბილი და ღიმილიანი დამოკიდებულება დამსვენებლებისადმი, ასე იცნობენ პანსიონატ „ლაშიჭალის“ რეგისტრატორს დალი სილაგაძეს.

უკვე 13 წელია იგი უღალატოდ ემსახურება თავის საქმეს. გულისხმიერებისა და სიკეთის ნიჭის გამოა, სამადლობელ სიტყვებს რომ არ იშურებენ მისი მისამართით.

სურათზე: რეგისტრატორი დალი სილაგაძე საჭირო საბუთებს უფორმებს დამსვენებელს.

ზ. გზოგავას ფოტო.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ 12 ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ

ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠ ცხოვრებაში ქრისტეს მოვლინებას წინ უძღოდა ცრუ მესიათა გამოჩენა. მათ მიჰყვებოდა ხალხის ნაწილი. მაგრამ იაფფასიანი იდეებით აგორებული ტალღა მალევე იშლებოდა. ისრაელიტიანები კი მოთმინებით ელოდნენ იმ ერთადერთს, ნამდვილს, რომლის მოვლინებას წინასწარმეტყველებმა დედამიწაზე ცათა სასუფევლის დამკვიდრება დაუკავშირეს.

მხსნელიც გაჩნდა, მაგრამ იგი გაჩნდა ისეთ ჩვეულებრივ, ღარიბ ოჯახში, რომ არავის მოსვლია აზრად მისი განსაკუთრებულობა. მათ გარდა, ვინაც იცოდა ან სმენოდა ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის შესახებ. მას შემდეგ, რაც იგი ღვთის ნებით მდინარე იორდანეში მონათლა იოანე ნათლისმცემელმა და გაუძღო უშმაკის ცდუნებასაც, იესომ იწყო ქადაგება და ღვთის სიტყვის სწავლება ხალხში. მისი სიტყვა და საქმე ერთნაირად სასწაულებრივი იყო, ფაქტიურად ეს იყო სრულიად ახალი მოძღვრება, რომლის არსი გამოიხატება დევიზით: ღმერთი არს სიყვარული და რომელიც იქვე დასტურდებოდა. იესო მარტოოდენ ხელის შეხებით კურნავდა რწმენით აღსილ ადამიანებს,— დავრდომილებს, კეთროვანებს, ბრმებს. ხალხი მიჰყვებოდა მასაც, მაგრამ ჯერჯერობით არა როგორც მხსნელს, არამედ წინასწარმეტყველს. ასე გაჰყვა და დაუმოწაფდა მას სულის გადარჩენისათვის მრავალი იუდეველი. ქრისტემ თავის მოციქულებად 12 მათგანი აირჩია, რომელთა მისია იყო ქრისტეს აღდგომისა და მესიანობის მოწმობა, მთელ დედამიწაზე ახალი მოძღვრების გავრცელება.

„და როდესაც გათენდა, მოუხმო თავის მოწაფეებს და ამოარჩია მათგან თორმეტი, რომლებსაც მოციქულები უწოდა.

სიმონი, რომელსაც დაარქვა პეტრე, და მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე, მათე და თომა, იაკობი ალფესი და სიმონი, ზელტედ წოდებული.

იუდა იაკობისა და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა“ (ლუკა 6,13-16)

იუდა ისკარიოტელის არჩევა 12 მოციქულთა შორის უთუოდ ღვთის განგება იყო, რათა აღსრულებულიყო წინასწარ თქმული და დაწერილი საღვთო წიგნში.

მოციქულებმა ბოლომდე შეითვისეს და შეისწავლეს ქრისტეს მოძღვრება და განემზადნენ თავიანთი მისიის შესასრულებლად. აღდგომის შემდეგ იესო ეჩვენა მხოლოდ თავის მოწაფეებს და არა მთელ ხალხს. 40 დღის მანძილზე იგი ეჩვენებოდა მათ და საბოლოოდ მოძღვრავდა. იესოს ცად ამაღლების შემდეგ მოციქულებმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესი იყო კვლავ თორმეტს განეგრძო დაწყებული საქმე. ეს აუცილებელიც იყო, რადგან მათ სასუფევლის დადგომის დროს ისრაელის თორმეტი თემი უნდა განესაჯათ. ამიტომ პეტრემ მიმართა მოწაფეებს ამოერჩიათ ერთ-ერთი ღირსეულთაგანი გამცემი იუდა ისკარიოტელის ნაცვლად. წილისყრით აირჩიეს მატიასი (მატათასი) და შერაცხეს მოციქულთა შორის. ახლა ისევ 12-ნი გახდნენ.

იესოს ყველა მოციქული დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო—მეთევზე-მებადური. მხოლოდ მათე (იგივე მათე მახარებელი—პირველი სახარების ავტორი) იყო მეზვერე (ხარჯის ამკრები). მეზვერეობას მაშინდელ ებრაელები ცოდვად თვლიდნენ და მათ ტაძრიდან დევნიდნენ. ამიტომ მათე საკუთარი ხალხისაგან შერისხული იყო. მაგრამ იესო საერთოდ არ ერიდებოდა ამგვარ „ცოდვილებთან“ ურთიერთობას და ხშირად იმოწაფებდა კიდეც მათ. ასე გახდა მათეც იესოს მოძღვრების მიმდევარი.

იესოს დანარჩენი მოციქულნიც ასე თუ ისე ცნობილია ჩვენთვის—იოანე ზებედეს ძე, ძმა იაკობისა, ერთ-ერთი სახარების ავტორი. ჩვენ მას იოანეს სახარებას — ვუწოდებთ. ხოლო ფრთიანი გამოთქმა „ურწმუნო თომა“ განასახიერებს ერთ-ერთ მოციქულთაგანს—თომას, იგივე დიდიმს, რომელიც ხშირად ეჭვის თვალით უყურებდა თავის მასწავლებელს. გარდა იუდა ისკარიოტელისა, ყველა მოციქული გალილეველი იყო.

ქრისტეს მოციქულები ერთმანეთის ძმებად იწოდებოდნენ. ოღონდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაიდან იესო პეტრეს სახლში ცხოვრობდა და მის ნავზე ქადაგებდა, ხალხის თვალში იგი მოწაფეთა მეთაურად გაცხადდა. ხარჯის ამკრებნიც პეტრესგან ითხოვდნენ გადასახადს. ამიტომ იგი ფაქტიურად იქცა მოციქულთა თავად.

მიუხედავად ძველი ეკლესიის მხრიდან დაუნდობელი დევნისა და სიკვდილის მუქარისა, მოციქულებმა ღირსეულად ზიდეს ღვთის მიერ მათთვის დაწესებული დიდი ტვირთი და ახალი მოძღვრება იქადაგეს ქვეყნიერების დიდ ნაწილზე. ამათგან ორი: ანდრია პირველწოდებული და სიმონი საქართველოში შემოვიდნენ საქადაგებლად. ეს მათ შემოიტანეს ქრისტიანული მოძღვრება მაშინდელ საქართველოში, რომელიც შემდგომ, მეოთხე საუკუნეში, წმინდა ნინო კაბადოკიელის შემწეობით სახელმწიფო რელიგიად იქცა. 13 ივლისი იყო თორმეტ მოციქულთა ხსენების დღე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება.

პუბლიკაცია მოამზადა

ᲘᲐ ᲮᲕᲔᲦᲘᲫᲔ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Ն. ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲜᲘᲜᲝ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ
ᲛᲔᲠᲘ, ᲑᲐᲠᲘᲔᲚ ᲒᲣᲒᲐᲕᲔᲑᲡ

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. კვლავაც დიდი სიხარული ენახოს თქვენს ოჯახებს.

ᲣᲣᲤᲣᲜᲐ, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲪᲘᲣᲠᲘ, ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲢᲐᲢᲝ ᲝᲗᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲔᲡ

გილოცავთ უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრებას. დალოცვილი, ხანგრძლივი და ბედნიერი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ, ᲨᲣᲥᲣᲠᲐ, ᲒᲣᲒᲣᲚᲘ, ᲓᲝᲓᲝ, ᲪᲘᲪᲝ, ᲐᲖᲐ, ᲑᲘᲭᲘᲙᲝ, ᲒᲘᲕᲘ ᲥᲐᲠᲗᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲮᲣᲜᲯᲣᲚᲐᲫᲔᲡ ᲓᲐᲥᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲠᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲙᲕᲔᲜᲢᲐᲫᲔᲡ

გილოცავთ ბედნიერებას, გამრავლდით და გაიხარეთ!

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲖᲐ, ᲜᲣᲜᲣ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ, ᲚᲔᲚᲐ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲔᲤᲐᲫᲔᲔᲑᲘ.

მეუღლე დადაში, შვილები, მარინე, მანანა, მაია, დათო, ძმა შოთა, რძლები დარეჯანი, რიმა, სიძეები ბორის, ანზორ სილაგაძეები, მულები ნანული, ლილი, დეიდა სერნო, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ბიცოლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘ-ᲒᲣᲒᲐᲕᲐ

დაკრძალვა 17 ივლისს, სამშაბათს, ქ. ცაგერში.

ვახტანგ დარახველიძე, გალაქტიონ მანდარია, რუბენ, საშა კოპალიანები, დავით ყურაშვილი, კარლო ჩაკვეტაძე, ვალოდია ხეცურიანი, იური ჩხეტიანი, მურად ღიპარტელიანი, გენო ხეცურიანი, დათო გოქაძე, ზურაბ ასათიანი, ბუჭუ მაშარდაშვილი, ვალოდია თოდიძე, გურამ ნემსაძე, პლატონ ირემაძე, ოლია კვირკაშვილი, მარო საღინაძე, მათიკო გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ მაგული, დათო, დარეჯან საღინაძეებს ძმისა და ბიძის

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔᲡ ᲫᲔ ᲯᲘᲛᲨᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლის და სიძის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡᲐ და **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ**

გარდაცვალების გამო.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული გუგავას რძლისა და სიძის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ და **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ**

გარდაცვალების გამო.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლოლა, ბუჭუ, მზია ზურაბიანებს შვილისა და მაზლის

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

დადაში გუგავა, ბორის, ანზორ სილაგაძეები, ელგუჯა, ანზორ ლეთოდიანები, სოსო, კუჭიკო გუგავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲑᲣᲭᲣᲡ ᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

სოსო, კუჭიკო გუგავები, ანზორ ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

ვალიკო მეშველიანი, რეზო ნემსაძე, ომარ ბენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ.

რაისაავადმყოფო -პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი ბენიძეს დეიდაშვილის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ლალაკო მინდაძე, რომან მანდარია, ᲜᲣᲠᲗᲐᲖ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

სარაიონო კულტურის სახლისა და ცენტრალიზებული ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული, დარეჯან საღინაძეებს ძმისა და ბიძის

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲘᲛᲨᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები რომან ყურაშვილი, გივი ბენიძე, კაპიტო, ბორის ჩიქოვანები, ჯემალ მეშველიანი, ლეო, ჯემალ ახვლედიანები, ბესო ქომეთიანი, ბიჭიკო მურცხვალაძე, ჟორა ხვისტანი, ნუგზარ საღინაძე, ვარლამ გოლეთიანი, მურთაზ ბერიძე, მიშა უჩაძე, თინა ბობოხიძე, გივი ხმელიძე, ენგელი ქურასპედიანი, აბესალომ ცხვედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლისა და სიძის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ და **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ**

გარდაცვალების გამო.

საშენი მასალების სამეურნეობათაშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული საღინაძეს ძმის

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲘᲛᲨᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘ-ᲒᲣᲒᲐᲕᲐ.

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები გივი სილაგაძე, მურთაზ ბენდელიანი, ბორის დაშნიანი, ბონდო ლეთოდიანი, თემურ ლიპარტელიანი თენგიზ, ავთო ჩიქოვანები, გენორი კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲑᲣᲭᲣᲡ ᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

რაისაავადმყოფო - პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ომარ ზურაბიანს ბიძაშვილის

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

თამაზ საღინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲑᲣᲭᲣᲡ ᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ

საშენი მასალების სამეურნეობათაშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, ბორის სილაგაძეებს დედისა და სიდედრის

ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

გივი გასვიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

ვალიკო მეშველიანი, რეზო ნემსაძე, ომარ ბენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

ცაგერის სახ. დაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე გუგავას მეუღლისა და დედის

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲑᲣᲭᲣᲡ ᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ და **ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲜᲐ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡ**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საწარმოს მძღოლი

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲑᲣᲭᲣᲡ ᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურგენ და ნუგზარ დავითულიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ომარ და მურად ზურაბიანებს ბიძაშვილის

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

მთვარისა ხმელიძე, სოსო გასვიანი, თამაზ თაგვაძე, ნუკრი საღინაძე, ბორის ბენდელიანი, გივი კვირკაშვილი, გოჩა ბენიძე, ჟორა სილაგაძე, შოთიკო კოპალიანი, ბორის ჩიქოვანი, სოზარ კოპალიანი, გია ჯიაძე, ჯაბა, ჯეირან მუშკუდიანები, ვალერი სვანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲐᲙᲐᲙᲘ (ᲑᲐᲙᲐ) ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის ტაბეჭდა.